ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურს!

მცხ. მირცხულავას ქ, 10. მობ. 599 44 12 21

ნანა ინასარიძის

განცხადება

მოგახსენებთ, რომ სააშენებლო ფირა „სვეტი“ მირცხულავას 9-11-ში, რომელიც რეკრეაციული ზონაა, აშენებს 15 სართულიანი კორპუსების ციხესიმაგრეს, ჩვენი 8-სართულიანი კორპუსების პარალელურად,რის შედეგად ჩვენ გვიხშობენ სასუნთქ ჰაერს და სინათლის სხივს.

მუშებთან საუბრისას გავარკვიე, რომ „სვეტი“ ჯერჯერობით ხუთ 15 სართულიან კორპუსს აშენებს. განზრახული აქვთ სულ 23 მაღლივი კორპუსის აშენება. შეიძლება? ამ ვიწრო ქუჩაზე, რომელიც განით 10 მეტრია 1000 მოსახლე ძლივს ვეტევით, არ გვაქვს საფეხმავლო გზა, მანქანას ვერსად ვაყენებთ ჩაასახლო 10-ჯერ მეტი მოსახლე, მერიის მხრიდან დიდი ბოროტებაა.

სვეტი ისე გათავხედდა,რომ ფანჯრების წინ ბეტონის ქარხანა აგვიშენეს „კავკას ბეტონი“. პატარა ნიავის დროსაც ბეტონის მასალა იყრება ფანჯრებში. დროდადრო მილებიდან საშინელი მტვერი და ნაგავი იყრება. ხალხის შეეშინდათ და ახლა ბეტონს ამზადებენ ღამით, დღისით მანქანებს ტვირთავენ და ყიდიან ბეტონს,

მშენებლობის გარშემო საუცხოო ფიჭვნარი ნადგურდება, დროზე ადრე გაყვითლდა და ხმება, მიზანიმართულად ახმობენ გარშემო მწვანე ნარგავებს.

მშენებლობა მიმდინერეობს ნებართვის გარეშე, არ აქვთ გერგ-ს ნებართვა, ზედამხედველობის სამსახური აჯარიმებს მათ, ისინი იხდიან ჯარიმას და განაგრძობენ მშენებლობას, შეთანხმებულად მოქმედებენ.

თბილისი ხალხისათვის კი არ შენდება, იგი ბიზნესმენებისა და მათი პატრონებისათვის იქცა მილიონების შოვნის წყაროდ.

ამ გრძელვადიანი განვადების წყალობთ მთელ საქართველოს მოსახლეობას თბილისში ასახლებენ ეს ქვეყნის მოღალატეები,

თბილისელებს გვჭირდება მეტი სპორტული მოედნები, აუზები და ბევრი მწვანე ზონა და არა ბეტონის კედლები.

გთხოვთ და მოვითხოვთ, რადგან მერია სხვა გამოსავალს არ გვიტოვებს

1."სვეტმა" მირცხულავას 9-11 ააშენოს მხოლოდ 4-5 სართულიანი კორპუსები, ნაცვლად 15 სართულისა. რადგან ცოტა ჰაერი მაინც დაგვიტოვეთ, რომ ვისუნთქოთ.

2. გააუქმეთ ბეტონის ქარხანა მირცხულავას ქ.-ზე, რომელიც გვწამლავს და გვახრჩობს.

3. საერთოდ შეწყვიტეთ დიდუბეში, კერძოდ დასახლებულ ადგილებში მაღალსართულიანი კორპუსების მშენებლობა. ვის უნდა ამდენი, მუშების სინდისზე აშენებული საშიში კორპუსები.

4. ქალაქის გენ. გეგმა იყოს ხელმისაწვდომი ქალაქის მოსახლეობისათვის და ხალხი ჩაბმული იყოს მის განხილვაში.

5. შემოწმდეს მირცხულავას 9-11-ში ჰაერის და ბინძურების დონე და გვეცნობოს.

ნ. ინასარიძე და 1000 მცხოვრები